

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლ.დლონტის  
ანგარიშის მოსმენის სხდომის  
ოქმი

2019წელი, 14 თებერვალი

სოფელი ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გიორგი ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე მ.ჩხიკვიშვილი.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ვლ.დლონტი არის საკრებულოს პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგურალურად ესწრება და მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ვლ.დლონტმა საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფლების შიდა გზების სრულად რეაბილიტაცია, რომელსაც მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ვლ.დლონტი არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, მ.ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს ამომრჩევლებმა და კოლეგებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

გიორგი ღურჯუმელიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო